



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

თბილისი
2020

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ზოგადი დებულებები;
2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და ამოცანები;
3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
5. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე პრეზიდენტები;
6. სტუდენტური თვითმმართველობის სპეციალური დეპარტამენტები;
7. სტუდენტური ომბუდსმენი;
8. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი;
9. სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსები;
10. სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო კომისია;
11. დასკვნითი დებულებები.

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სეუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა არის სტუდენტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით;
- 1.2. თვითმმართველობის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა 1/3;
- 1.3. სტუდენტური თვითმმართველობა შეიმუშავებს დებულებას;
- 1.4. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;
- 1.5. სტუდენტური თვითმმართველობა თავის ფუნქციებს ანხორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტების საფუძველზე;
- 1.6. სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი;
- 1.7. სეუ უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;
- 1.8. სტუდენტური თვითმმართველობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და ამოცანები

2.1. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის მიზნებია:

- სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;
- სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება;
- სეუ-ს ყოველდღიურ საქმიანობაში სტუდენტთა მონაწილეობა;
- სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვა;
- სტუდენტების თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სეუ-ს მმართველობის ორგანოებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება სასწავლო პროცესისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით;
- ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციისა და ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.

2.2. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

- მოაწიოს შეხვედრები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო ღონისძიებები;

- სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე, გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სტუდენტთა თვითმმართველობას შეუძლია დაამყაროს კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

2.3 სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- საერთო კრება;
- დეპარტამენტები.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

- 3.1.** სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომლის შემადგენლობაშიც შედის სეუ-ს სტუდენტთა თვითმმართველობის ყველა წევრი;
- 3.2.** საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც. საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პრეზიდენტის ან თვითმმართველობის წევრთა 2/3 ინიციატივით. კრება გადაწყვეტისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 50%+1;
- 3.3.** საერთო კრების სხდომის მოწვევის შესახებ თვითმმართველობის წევრს ეცნობება 3 დღით ადრე ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის მითითებით;
- 3.4.** სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:
- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თვითმმართველობის პრეზიდენტს;
 - ირჩევს სტუდენტთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შედის უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის ყოველი კურსის თითო წარმომადგენელი;
 - ირჩევს სტუდენტურ ომბუდსმენს ხმათა უმრავლესობით;
 - იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველობის წევრის სტატუსის შეწყვეტის ან ახალი წევრის მიღების შესახებ.

4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

- 4.1.** სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე;
- 4.2.** პრეზიდენტი:
- იწვევს და თავმჯდომარეობს საერთო კრებას;

- უწევს კოორდინაციას თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად ნიშნავს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს;
- სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტებთან შეთანხმებით ათავისუფლებს დეპარტამენტების ხელმძღვანელებს;
- სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ურთიერთობს სეუ-ს მმართველ ორგანოებთან;
- წარმოადგენს თვითმმართველობას ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან ურთიერთობაში ვიცე-პრეზიდენტებთან შეთანხმებით;
- ნიშნავს შემდეგი არჩევნების თარიღს ვიცე-პრეზიდენტებთან და სეუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს პრიორიტეტულ პროგრამებსა და პროექტებს;

4.3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

4.4. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტურ თვითმმართველობას ვადამდელ არჩევნებამდე ხელმძღვანელობს პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

5. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე პრეზიდენტები

5.1. პრეზიდენტს ჰყავს 4 ვიცე-პრეზიდენტი, რომლებიც პრეზიდენტის წარდგინებით აირჩევიან საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით;

5.2. ვიცე პრეზიდენტები:

- წარმართავენ თავის საქმიანობას პრეზიდენტთან შეთანხმებით და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
- მონაწილეობენ საკადრო პოლიტიკაში;
- აკონტროლებენ თვითმმართველობის საქმიანობას;
- მონაწილეობენ პრიორიტეტულ პროგრამებისა და პროექტების დამტკიცებაში;

6. სტუდენტური თვითმმართველობის სპეციალური დეპარტამენტები

6.1. სტუდენტური თვითმმართველობის სპეციალური დეპარტამენტები იქმნება სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

- 6.2. თითოეულ დეპარტამენტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც 6 თვის ვადით ინიშნება პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის შეთანხმებით;
- 6.3. დეპარტამენტის წევრთა სხდომა მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- 6.4. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს უნდა შეუთანხმოს ყოველი თვის სამუშაო გეგმა;
- 6.5. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებია:
- კულტურის დეპარტამენტი;
 - სპორტის დეპარტამენტი;
 - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
 - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
 - განათლების დეპარტამენტი;
- 6.6. დეპარტამენტის სხდომა:
- დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეებს;
 - ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს და ახდენს თვითმმართველობის მოთხოვნათა რეალიზებას;
 - გადაწყვეტისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

7. სტუდენტური ომბუდსმენი

- 7.1. სტუდენტური ომბუდსმენი არის სტუდენტთა უფლებების დამცველი უნივერსიტეტში, რომელიც აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მიერ ხმათა უმრავლესობით;
- 7.2. სტუდენტთა ომბუდსმენის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების წევრს;
- 7.3. სტუდენტური ომბუდსმენის კომპეტენცია:
- ა) სტუდენტთა უფლებების დაცვა;
 - ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან სტუდენტთა პრობლემების წარმოჩენა;
 - გ) სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის „სტუდენტური ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსით“ გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დაღვევის შემთხვევაში შესაბამის სადისციპლინო კომისიაში სტუდენტთა ინტერესების დაცვა;
 - დ) სტუდენტის მიმართ უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული ეთიკის

ნორმების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის დისციპლინურ კომისიაში სტუდენტის უფლებების დაცვა;

ე) სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ;

ვ) სტუდენტთა ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა შეღავათების შესახებ.

8. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

8.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი:

- სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები;
- სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება 2 წლის ვადით;

8.2 სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;
- პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის გადაწყვეტილება, თუ იგი უხეშად არღვევს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს ან წინამდებარე დებულებას;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

8.3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

- წამოაყენოს წინადადებები საერთო კრებაზე და მოითხოვოს მათზე რეაგირება;
- მიიღოს ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
- მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
- მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
- არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

8.4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ამ დებულების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის მოთხოვნები;
- შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებები;
- დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, პრესტიჟი და ქონება;

- თავისი საქმიანობით არ დაუშვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის დისკრედიტაცია;
- ხელი შეუწყოს სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

9. სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსები

- 9.1. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:
- ა) უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსები;
 - ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები.
- 9.2. სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსურ მხარეს აკონტროლებს პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად.

10. სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო კომისია

10.1 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნას უზრუნველყოფს მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების შესაბამისად.

11. დასკვნითი დებულებები

- 11.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
- 11.2 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საერთო კრებაზე შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის მიხედვით.